



ქართაისის
სამინისტრო

დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 11
ნოემბრის №დ 173 ბრძანებით

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის
კონომიკის კვლევითი ინსტიტუტის
დებულება

2021 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი	3
მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის მიზანი.....	3
მუხლი 3. ინსტიტუტის უფლებამოსილებები	3
მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა	5
მუხლი 5. ინსტიტუტის დაფინანსება.....	6
მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი	7

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი“) წარმოადგენს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს ეკონომიკური პრობლემების კვლევას და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.
- 1.2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.
- 1.3. ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი ექვემდებარება უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის წინაშე.

მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის მიზანი

ინსტიტუტის საქმიანობის მიზანია ეკონომიკური პრობლემების მიმართულებით კვლევის განვითარებაზე ზრუნვა და დარგის კვალიფიციური მკვლევარების საუნივერსიტეტო პროცესებში ჩართვის უზრუნველყოფა, ინოვაციური კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება.

მუხლი 3. ინსტიტუტის უფლებამოსილებები

3.1. ინსტიტუტის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება;
- ბ) ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების მიმართულებით ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის ხელის შეწყობა;
- გ) კვლევებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა და წახალისება;
- დ) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვებინარების, ვორკშოპების, სიმპოზიუმების ორგანიზების ხელშეწყობა;
- ე) კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან და ბიზნეს-სექტორთან;
- ვ) ფაკულტეტთან ერთად სასწავლო პროცესში კვლევის შედეგების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ზ) ფაკულტეტთან ერთად სტუდენტებისთვის კვლევის მეთოდებისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენების სტიმულირება;

თ) ფაკულტეტთან ერთად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სხვა მეცნიერთა კვლევების და სპეციალისტთა პრაქტიკული საქმიანობის შედეგების საფუძველზე, პერიოდული ჟურნალის - „ეკონომიკური პროფილი“ - მომზადება-გამოცემის ორგანიზება და ზრუნვა ჟურნალის საერთაშორისო ბაზებში გასაერთიანებლად, ინდექსების გასაზრდელად;

ი) ფაკულტეტთან ერთად უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტების (გაცვლითი პროგრამები, გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.) განხორციელება;

კ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ მიწოდებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შეფასებისა და საზოგადოებაში მოთხოვნადი კვლევითი მიმართულებების მოკვლევის შესახებ ანგარიშების საფუძველზე, უნივერსიტეტის მისისა და სტრატეგიის გათვალისწინებით კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და ფაკულტეტის საბჭოზე წარდგენა;

ლ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და სხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის, ინსტიტუტის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშების პერიოდული წარდგენა;

მ) ყოველ კვარტლურად შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისთვის ინფორმაციის წარდგენა, ინსტიტუტის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

2. ინსტიტუტი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) ატარებს სემინარებს, დისკუსიებს, კონფერენციებს, სასწავლო კურსებს, პრეზენტაციებს, კონკურსებს და სხვადასხვა სახის აქტივობებს;

ბ) თანამშრომლობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან;

გ) მონაწილეობს პროექტებსა და კონკურსებში, გამოდის პროექტებისა და კონკურსების ინიციატორად;

დ) თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

ე) ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნიდან მეცნიერ-მკვლევართა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყვანას და ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტში მათ მიერ სემინარებზე მოხსენებებისა და ლექციების წაკითხვას;

ვ) გამოსცემს, ეკონომიკისა და ბიზნესის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ჟურნალს და თემატურ კრებულებს, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით;

ზ) ახდენს ბიზნესის, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემატიკაზე უცხოური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნას და გამოცემას;

თ) ეხმარება უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ჩაერთონ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით, ასევე კვლევით საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;

ი) ახორციელებს სხვა საკონსულტაციო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა

4.1. ინსტიტუტი შედგება ინსტიტუტის ხელმძღვანელის - დირექტორისა და მეცნიერ თანამშრომლისგან.

4.2. ინსტიტუტის ხელმძღვანელია ინსტიტუტის დირექტორი (შემდგომში „დირექტორი“), რომელიც კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას სოციალური მეცნიერებების (ეკონომიკა) და ბიზნესის მიმართულებით;

4.4. დირექტორი შესაძლებელია დაინიშნოს მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კონკურსის გზით, ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესის საფუძველზე.

4.5. დირექტორი:

ა) ხელმძღვნელობს ინსტიტუტს და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ბ) განსაზღვრავს ინსტიტუტის საქმიანობის მიმართულებებსა და ფორმებს;

4.6. დირექტორის ვალდებულებები:

ა) ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვალდებულია სამეცნიერო პერსონალთან თანამშრომლობით შეიმუშაოს კვლევითი პრიორიტეტები და განხილვის მიზნით წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ კვლევით პრიორიტეტებში ცვლილების შეტანის შესახებ. ინსტიტუტის მიერ წარდგენილი კვლევითი პრიორიტეტების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. კვლევითი პრიორიტეტის აქტუალობის/მნიშვნელობის დაკარგვის ან სხვა მიზეზის საფუძველზე ცვლილების საჭიროების შემთხვევაში ცვლილება შედის იგივე პროცედურების დაცვით.

ბ) კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების განხორციელების მიმდინარეობის ან შესრულების შესახებ, ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველკვარტლურად ანგარიში წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

გ) ინსტიტუტების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის/ღონისძიებების შესრულების შემდეგ, ინსტიტუტის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისთვის,

სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის კვლევითი საქმიანობის შედეგების გაზიარებას შეხვედრების/დისკუსიების და ა.შ. მეშვეობით.

4.7. მეცნიერ თანამშრომელი არის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომლის დანიშვნა ხორციელდება უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესის საფუძველზე.

4.8. მეცნიერის უფლებები

მეცნიერს უფლება აქვს:

- დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
- მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებლად საგრანტო კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში;
- წარმართოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იქნება ინსტიტუტის ამოცანების შესრულებასთან.

4.9. მეცნიერის ვალდებულებები

- მეცნიერი ვალდებულია დაიცვას სამეცნიერო კვლევის ეთიკა და კეთილსინდიერების ნორმები;
- თავის კვლევებში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
- ყოველი წლის დასაწყისში წარადგინოს დირექტორის სახელზე წინა წლის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ანგარიში.

4.10. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი შედგება შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირებისაგან:

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
- მეცნიერ თანამშრომელი.

მუხლი 5. ინსტიტუტის დაფინანსება

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

- სხვადასხვა ფონდებიდან მოძიებული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
- საბაზო დაფინანსება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტს ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
- სპონსორთა საქველმოქმედო თანხები, ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ნამრომებიდან მიღებული შემოსავალი (ჰონორარი) და საგამომცემლო საქმიანობით მიღებული თანხები.

5.4. სხვა შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას და საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი

- 6.1. ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით;
- 6.2. წინამდებარე დებულება მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
- 6.3. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.